*საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს*
*რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს*

## მიმართვა

ჩვენ, ჟურნალისტთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე *„გენდერი და მედია, ომი და მშვიდობა: ძირითადი საშიშროებანი და მათი დაძლევა“ (თბილისი, 16-20 დეკემბერი, 2008)*
შექმნილი საინიციატივო ჯგუფი
მივმართავთ ორი ქვეყნის პრეზიდენტებს მოთხოვნით
**მიუსხდნენ პირდაპირი მოლაპარაკებების მაგიდას, რათა უზრუნველყონ:**

- ცეცხლის რეალური შეწყვეტა;
- დიპლომატიური ურთიერთობების სრული მოცულობით აღდგენა;
- აუცილებელი პირობების შექმნა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისათვის;
- მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოება და მათთვის ცხოვრების პირობების შექმნა;
- კონფლიქტის ზონაში თავისუფალი გადაადგილების უფლება;
- კავშირგაბმულობის მუდმივი არხები და საინფორმაციო გაცვლა კონფლიქტის მხარეებს შორის;
- პირობების შექმნა კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის მუდმივი საზოგადოებრივი მონიტორინგისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში სწრაფი რეაგირების საერთაშორისო ჯგუფის მოღვაწეობისათვის;
- ერთიანი სტრუქტურის შექმნა, რომელიც იმუშავებს უგზოუკვლოდ დაკარგულთა, ორივე მხარის მიერ დაკავებულ სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირების საკითხებზე;
- პრესის, საზოგადოებრივი და უფლებადამცველი ორგანიზაციების თავისუფალი დაშვება ინფორმაციის წყაროსთან.

საინიციატივო ჯგუფი:
ლუიზა პოღოსიანი, სომხეთი
გიორგი ვანიანი, სომხეთი
ვლადიმერ ხანასი, უკრაინა,
გალინა პეტრიაშვილი, საქართველო
ვლადიმერ შევკუნოვი, რუსეთი

მიმართვას მხარს უჭერენ:
სევინჯ მამედიაროვა, აზერბაიჯანი
დარეჯან ოდილავაძე, საქართველო
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო
ნანა ფილიევა, საქართველო
სვეტლანა გარაშჩენკო, უკრაინა
ტატიანა ისაევა, უკრაინა
ევგენი სუხოვერკო, რუსეთი
მარინა ლიახი, რუსეთი
მაშა ნოვიკოვა, ნიდერლანდები
ციცინო ჯულუხიძე, საქართველო
როზა კუხალაშვილი, საქართველო
თამარ ბალავაძე, საქართველო
კატია იურტაევა, საქართველო
ნათია კუპრაშვილი, საქართველო
ალმაზ კალეტი, ყირგიზეთი
ალმა ბეკტურგანოვა-ანდერსენი, დანია

*(დოკუმენტი ღიაა ხელმოწერებისათვის)*